

ქიულო შარტავა 75

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სპეციალური გამოცემა * 7 მარტი, 2019 წელი

სიტყვისა და საქმის თანაბრად ერთგული კაცი

ჟიული შარტავა - საქართველოს პირველი ეროვნული გმირი, „დიდგორის“, „ვახტანგ გორგასლისა“ და „ნმიდა გიორგის“ პირველი ხარისხის ორდენების კავალერი - წლეულს, 7 მარტს 75 წლის გახდებოდა.

ჟიული შარტავა იყო პოლიტიკური, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე, რომელიც 1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმის დაცემის დღეს, მთავრობის სახლის აღებისას, სხვა მის დამცველ გმირ ადამიანებთან ერთად ტყვედ აიყვანეს და დახვრიტეს.

მან გამორჩეულად განსხვავებული, სიტყვისა და საქმის თანაბრად ერთგული კაცის სახე შექმნა ქართულ რეალობაში (პოლიტიკასა თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში) და ქედუხრელად შეენირა საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლას.

მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა - ერთ-ერთი ის მთავარი თვისება იყო, რაც ჟიული შარტავას ბავშვობიდან მოყოლებული ცხოვრების ყველა ეტაპზე - მონაფეოების, სტუდენტობის, ასპირანტობის, სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობის თუ სულ ბოლოს, აფხაზეთის ომში, ფრონტის ხაზზე ყოფნის ჟამს, სხვათაგან გამოარჩევდა... ამ თვისების გამოც იყო, რომ როგორც თვითმხილველები იგონებენ, 27 სექტემბერს, თითქმის ყოველი მხრიდან ალყაში მოქცეული მთავრობის სახლის ფანჯრიდან ადევნებდა თვალს სოხუმის სანაპიროს ქუჩას, როგორ ტოვებდა ქალაქს მოსახლეობა და მხოლოდ მას შემდეგ, როცა ხალხის ნაკადი შეწყდა, გასცა ბრძანება „გავდივართ!“

ჟიული შარტავამ, როგორც მთავრობის მეთაურმა, განწირულ ხალხს ქალაქიდან არ გაასწრო... ის თითქოს ფარად დაუდგა ისედაც გამეტებულ, მშობლიური სახლიდან ოტებულ სოხუმელებს და ამით საქართველოს ისტორიაში გმირობის ახალი ფურცელი ჩაწერა.

კიდევ ერთი რამ, რასაც მოგვიანებით, განსაცდელს მარტო შეტოვებულ მთავრობის სახლში ჟიული შარტავას დარჩენის ასახსნელად მოიხმობენ, ადამიანებისადმი, მათი სიტყვისადმი ნდობის გამძაფრებული გრძნობა იქნება. ჟიული შარტავას, აფხაზეთისა და ქართველების შერიგების დაჟინებულ ქომაგსა და მოიმედეს, თავად სიტყვისა და საქმის კაცს, ბოლომდე არ სჯეროდა, რომ მას და მის თანამებრძოლებს ასე უმოწყალოდ გაიმეტებდნენ; მაინცდამაინც ომის დაუნერეელი კანონებით იმოქმედებდნენ და ტყვედ ჩავარდნილთა მიმართ ოდითგან მიღებულ დანდობის ტრადიციას არად დაგიდევდნენ...

და ჟიული შარტავაზე დაწერილი ერთი ჩემი ადრინდელი წერილის „დიდ ზვირთებთან შეჭიდებული“ ფინალს აქაც გავიმეორებ:

„აფხაზეთისთვის ბრძოლაში (და არა ომში) დამარცხებულ საქართველოში ჟიული შარტავა ჩვენთვის არის ნიშნული, რომელიც ყველა გადასახედიდან მკაფიოდ მოჩანს და რომელსაც თვალი ერთი წამითაც არ უნდა მოვაცილოთ“.

ნატო კორსანტია



მე ისეთი დამოუკიდებელი საქართველოს მომხრე ვარ, სადაც პიროვნების სრული თავისუფლება იქნება და, ამასთანავე, იქნება ნესრიგი, იზეიმებს კანონი, მომხრე ვარ ისეთი საქართველოსი, რომელსაც ექნება საკუთარი ძლიერი ეკონომიკა და აღმავალი სულიერი სფეროები, საკუთარი თავდაცვისუნარიანობა, საგარეო - პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობები, მტკიცე და საიმედო საზღვრები, უზრუნველყოფილი ტერიტორიული მთლიანობა; საქართველოსი, რომელსაც კარგი დამოკიდებულება ექნება მეზობლებთან, დანარჩენ მსოფლიოსთან, საიმედო მოკავშირეები ეყოლება, საქართველოსი, სადაც იქნება მაღალი პოლიტიკური კულტურა, ჯეშმარიტი ცოლერანტობა და ჯეშმარიტი დემოკრატია: ისეთი საქართველოსი მომხრე ვარ, რომლის ზედ-იღბალი არ იქნება ან ნაკლებად იქნება დამოკიდებული ნებისმიერ კავშირზე...

რხოვრება გრძელდება!

რადგან სამშობლოსათვის ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი!

ყველაზე მეტად განვირდი... ვიყრი, რას ნიშნავს, როცა სამშობლოს უჭირს... ვიყრი, რას ნიშნავს, როცა ქვეყნის შიგნით ერთიანობა არ არის.

ვიყრი, უთაო მეთაურობის ამბავიყრი...

ვიყრი, როგორ მივდიოდით აფხაზეთის ომისკენ...

ვიყრი, რაჭომ ვერ გავერთიანდით, როცა დაპირისპირების დროსაც კი ვიყოფით, რომ ორივე მხარეს საქართველო იყო!

ვიყრი, ჩვენი თაობის ამბებიყრი... მათ, ჩემსავით ატყინეს გული. ახალგაზრდობაში „დიდობა“ არ აღირსეს და დიდობაში ახალგაზრდობა!

ყველაფერი მაინც დაღაგდება...

გამორდილება, აზროვნება, წლებს და კარობას ფასი მაინც დაეფება!

ჟიული შარტავა

„რატომ წავიდა ქუთუნი სოხუმში?“

ლია შარტავა-ჯალაღონია, ქუთუნი შარტავას მეუღლე:

თავდაპირველად, როცა მისი სოხუმში სამუშაოდ გადასვლა გადაწყდა და შინ მოვიდა, ბუნებრივია, აფორიაქებული შევხვდი ამ ამბავს, თუმცა მისთვის არაფერი მითქვამს. აღელვება შემატყო და მითხრა: „სოხუმში წაუსვლელობა არ შეიძლება. ჯობს ამ ომს შევეწიროთ და მომავალი თაობა გადავარჩინოთ. ჩვენი თაობა ისედაც ვალშია მათ წინაშე.“

ბევრი უსიამოვნო ზარი მახსოვს, მაგრამ 16 სექტემბრის დილის 5 საათის ზარს ველარ ამოვმლი მესხიერებიდან. ყურმილი ავიღე, ტელეფონთან ქუთულის სთხოვდნენ. უსიამოვნო გრძნობა დამეუფლა. სოხუმშიდან რეკავდნენ. ყურმილი გადავეცი, თან ქუთულის შევცქეროდი, ის თანდათან გაფითრდა, სუნთქვა გაუწმირდა, და მიუხედავად ამისა, მაინც საოცარი სიმშვიდით იძლეოდა პასუხებს. შემდეგ მომიბრუნდა და მითხრა: „ლია, მგონი ისევ დაიწყო ომი აფხაზეთში.“ წასვლისას კარებთან ერთმანეთს დავემშვიდობეთ. გასვლის წინ მითხრა: „ჩემი საბუთები და სურათები დიპლომატშია, თუ რამე მოხდა, ღირსეულად მიტირეთ.“ გაცილება არ უყვარდა, აივნიდან გადავხედე, მე უკვე ვტიროდი. ქუთულმ ამოიხედა, შევატყვე რომ თვალები ცრემლიანი ჰქონდა. ხელი დამიქნია და წავიდა.

სულ მეკითხებიან: „რატომ წავიდა ქუთუნი სოხუმში?“ ამ კითხვას ქუთულის სიტყვებით გავცემდი პასუხს: „რაცა ვარ, ესა ვარ: დადებითით და უარყოფითით, ცოდვებითა და უცოდველობით. მე ვდგავარ ერთ პოზიციაზე - რამე კონკრეტული სარგებლობა მოვუტანო ჩემს ერს“...



ქუთუნი შარტავაზე უბრალოდ

არ შეიძლება ცხოვრების წესი, ჩვეულებები, ხასიათი, შეწირვისთვის მზადყოფნა ერთ დღეში დაიბადოს და ჩამოყალიბდეს. საბედისწერო ნაბიჯი იყო? არა, ამას ვერ ვიტყვი. ქუთუნი თავისი არსით, ცხოვრებით ერის დიდებულ წარსულს იყო შეძენილი და მოიქცა ისე, როგორც მის ძირსა და გენს ეკადრებოდა. ამ გზისკენ დიდი წვალებით, შრომით, ტრაგიზმით მიდიოდა!

ბევრი რამ ცნობილია, ბევრი დაინერა, კიდევ ბევრი ითქმება. ქუთუნი, ისევე როგორც ცხოვრებაში, სიკვდილშიც საოცრად მართალი იყო! გავისხენოთ სოდომის დანგრევის ისტორია. ათი მართალი კაცი თუ აღმოჩნდება, სოდომს არ დავანგრევო, - თქვა უფალმა... არ აღმოჩნდა! ქუთუნი მართალი იყო, მაგრამ... ვერ შეგვიგროვდა ათი... შედეგიც სახეზეა!

ყოველ ადამიანში ღვთიური და ღვთისნიერი მადლია. ქუთულმ ეს კი არ ჩანაცრა საკუთარ თავში, არამედ მეტი სინათლე მისცა. იგი წამებით ეზიარა ახალ სიცოცხლეს! მისი ქმედება არ იყო ერთი რომელიმე კონკრეტული, ლოკალური მომენტის მახასიათებელი. ეს ღვთიური მადლის, რწმენის, ქრისტეს გზაზე დამდგარი კაცის სულის გამონათება იყო. მთავარია ამის დანახვა.

ჯემალ აჯიაშვილი

...

სოხუმში ხშირად ვხვდებოდი ქუთულის, მასთან კაბინეტშიც ხშირად მივდიოდი. მასთან ურთიერთობიდან კი მრავალთაგან განსაკუთრებით ერთი ამბავი დამახსოვდა: იმ ავადსახსენებელი შერიგების, ეგრეთ წოდებული, „პერიმერიის“ ბუნდოვანი დღეები იდგა, ერთხელაც, გავიხედე და ჩვენი ახალი, თეატრის (კონსტანტინე გამსახურდიას) შენობასთან ვილაცხები ტრიალებენ და რაღაცას ზომავენ. მე უკვე თეატრის ხელმძღვანლად ვიყავი დანიშნული. თეატრი ჯერაც დაუსრულებელი იყო, მარჯვენა ფრთა აკლდა. ქუთულის მისი დამთავრების გადაწყვეტილება მიუღია. მალე მუშები მოიყვანეს და საქმეს შეუდგნენ. გაოგნებული ვიყავი, რას შერება ეს კაცი, რა დროს მშენებლობაა-მეთქი. მაგრამ... სულთი მშენებელი იყო და სხვანაირად არ შეიძლო...

ქუთუნი შარტავა ქართველი ერის სიამაყეა. მის გმირობაზე ბევრი ითქმება, ბევრი დაინერება, მაგრამ ერთი ფაქტია: ამგვარი პიროვნების სახელი სანთელივით უნდა დაინთოს ჩვენმა ახალგაზრდობამ, თუ უნდა, რომ სამშობლო არვინ შეუგინოს და მას არვინ შეეცილოს.

დომიტრი ჯაიანი

მის გვერდით მოშვების ნებას თავს ვერავინ მისცემდა

ქუთუნი შარტავას გახსენება ძალიან დიდ სევდას იწვევს და ამასთანავე, დიდ სიამაყესაც, რომ მისი თანამებრძოლი იყავი.

ქუთუნი შარტავამ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარედ დანიშვნის შემდეგ, მე გალის რაიონისა და ბევრი სხვა ფაქტორის გათვალისწინებით, თავისი მოადგილეობა შემომთავაზა. ამასთანავე, მე და გია გვაზავა (ჩვენ მაშინ ქუთულისთან ერთად საქართველოს პარლამენტის წევრები ვიყავით) აეროპორტს მიგვამაგრა. აეროპორტის დაკეტვის გამო, იქ ქალაქიდან გასვლის მსურველი ბევრი ადამიანი იყრიდა თავს. ჩვენ მუდმივად ვმოძრაობდით დრანდასა და სოხუმს შორის და მათი გადაყვანის საკითხებს ვაგვარებდით.

27 სექტემბრის წინა საღამოს, 8 საათზე, მთავრობის სახლში თათბირი იყო დაგეგმილი, თუმცა მე და გიამ იქ მისვლა მხოლოდ 10 საათისთვის შეეძლო. შენობა უკვე თითქმის ალყაში იყო მოქცეული და შიგნით ძლივს შევალწიეთ. პირველ სართულზე ჯუმბერ ბეთაშვილი შეგვხვდა, ზემოთ კი იყვნენ მიშა კოკია, საშა ბერულავა, იური გავა, რაულ ეშბა, ლორიკ მარშანია... და, რა თქმა უნდა დაცვის ბიჭები. როცა ქუთუნი (ის ამ დროს სინოპში, სამხედრო შტაბის სხდომაზე იმყოფებოდა) დაეწერე და ვუთხარი, თათბირზე მოვედით-მეთქი, ასე მიპასუხა: -ვახტანგ, ბოდიშს გიხდით (საოცარია, იმ ურთულეს წუთებშიც არ დავინწყებია ბოდიშის მოხდა), რომ ვერ გაგაფრთხილეთ. ახლა წადით, თქვენს საქმეს მიხედეთ და ხვალ დაგირეკავთ, ან თვითონ მოდითო. ხვალ შესაძლოა, „ლიტერატურნაია გაზეტას“ მისადგომს გემი მოადგეს და ხალხის გადაყვანა მოხერხდესო.

მთავრობის სახლიდან თითქმის პირველ საათამდე ვერ გამოვედით, ბიჭებს ვერ ვტოვებდით. ცხადად მახსოვს, მიშა კოკია ტახტზე იყო მიწოლილი, რაღაცნაირად არაამქვეყნიურად გაფითრებული, ხმას არ იღებდა. სამაგიეროდ, ლაპარაკის ხასიათზე იყო ჟურნალისტი საშა ბერულავა. ჩვენ მაგიდაზე ჩამოვსხედით და არსებული ვითარების ყოველმხრივი ანალიზი დავინწყეთ, ვჭჭობდით მოვლენების შესაძლო განვითარებაზე.

მერე იური გავამ ჩაი გამოიტანა. ბიჭები წამოსვლას ჯერ არ აპირებდნენ, ჩვენ კი წამოვედით, მაგრამ რომ იტყვიან, ფეხები და გული იქ მრჩებოდა.

მეორე დღით ისევ მივედით მთავრობის სახლში სანავისთვის და მალე აეროპორტისკენ წავედით. ქუთუნი არ გვინახავს.

როდესაც ქუთუნიზე ვფიქრობ, მახსენდება, რომ ბოლო დროს ის ძალიან ნაღვლიანი იყო, უჩვეულოდ გულჩათხრობილი. თუნდაც წინა დღეების ქუთულის არ ჰგავდა. თითქოს რაღაცას ელის და რაღაცისთვის ემზადებო. მიდიოდა, მოდიოდა, ლაპარაკობდა, მაგრამ თითქოს სხვაგან იყო, სხვა განზომილებაში.

ქუთუნი ცნობილი იყო, როგორც მომთხროფი, მკაცრი ხელმძღვანელი. აფხაზეთში ჩამოსვლის დასაწყისშიც ასეთი იყო, მაგრამ თანდათან უჩვეულოდ ლოიალური გახდა, მის მზერასაც ადრინდელთან შედარებით რაღაც რკინისებრი დავმატა.

მის გვერდით მოშვების ნებას თავს ვერავინ მისცემდა. მიუხედავად იმისა, რომ ის ხშირად იძლეოდა იმის შესაძლებლობას, რომ ახლოს მისულიყავი, რაღაც მოგეთხრო, შენი აზრი, იდეები, თუნდაც წუხილი გაგეზიარებინა. დისტანციას მაინც ვერ არღვევდი. იმ დღეებშიც ისეთივე იყო, არა სიტყვებით, არა მოქმედებით, არამედ მზერით მოლაპარაკე.

ასეთივე მახსენდება ის 1993 წლის 18 აგვისტოს, წმიდა მარიამის დღეს, როცა ქუთულის თხოვნით, მასთან ერთად გალის რაიონში გავემგზავრე... ჩემთვის, რა თქმა უნდა, დიდი პატივი იყო მასთან ერთად ჩემს მშობლიურ რაიონში გამგზავრება. გზად ათას რამეზე ვისაუბრეთ და კიდევ უფრო მეტი რამ გავიგე მასზე. ქუთუნი ბავშვობიდან ალტაცებული ყოფილა საბედიანოს სამთავროს დიდებული ისტორიით. ბედიის გადასახვევთან, სოფელ აჩიგვარაში, მანქანის შეჩერება ითხოვა და წუთიერი დუმილით მოწინება გამოხატა ქართველ-აფხაზთა მეფის, საქართველოს გამაერთიანებლის - ბაგრატ III-ის მიმართ, რომელმაც ააშენა ბედიის დიდებული ტაძარი, გარდაიცვალა ტაო-კლარჯეთში, მაგრამ დაკრძალვა საბედიანოში, დედამისის, აფხაზი ქალბატონის, გურანდუხტის გვერდით იქნა.

ბუნებრივია, სიტყვა პოლიტიკაზეც ჩამოვარდა. სოჭის ბოლო ხელშეკრულებასაც შევეხეთ. - პოლიტიკამ შური კი არ უნდა იძიოს იმაზე, რაც მოხდა, არამედ ყველაფერი გააკეთოს საიმისოდ, რომ იგივე არ განმეორდეს. ვინც ასე იქცევა, იმ პოლიტიკოსის სიცოცხლეს აზრი და გამართლება აქვს, - თქვა ქუთულმ და გააგრძელა (შემიძლია თითქმის ზუსტად აღვიდგინო მისი ნათქვამი), - პოლიტიკა მავანის ხელში სათამაშოა, ნერონისთვის - ნაჯახი, დიდი პოლიტიკოსისთვის კი - ქვეყნის ანეყო და მომავალი. რაც შემეხება მე, ჩემი ნამდვილი სახე ჩემი სიკვდილის დროს გამოჩნდება.

და, გამოჩნდა კიდევც...

ხშირად სვამენ კითხვას, რატომ არ დატოვა ქუთუნი შარტავამ თავის თანამებრძოლებთან ერთად თითქმის დაცემული სოხუმი. მეც მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ მან არ მისცა საკუთარ თავს უფლება, მოსახლეობაზე ადრე დაეტოვებინა ქალაქი.

ვახტანგ ყოლბაია



ზღვის დონიდან 3800 მეტრზე...

კავკასიონის ერთ-ერთ მწვერვალს ჟიული შარტავას სახელი დაერქვა

საქართველოს ჩრდილოეთ მიჯნაზე, აღმოსავლეთ კავკასიონის ერთ-ერთ მწვერვალს, რომელიც ზღვის დონიდან 3800 მეტრზე მდებარეობს, საქართველოს პირველი ეროვნული გმირის - ჟიული შარტავას სახელი ეწოდა.

ინიციატივა - ჟიული შარტავას 75 წლის იუბილესთან დაკავშირებით, გმირის სახელის უკვდავსაყოფად, კავკასიონის ერთ-ერთ მწვერვალს მისი სახელი დარქმეოდა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას ეკუთვნის. ინიციატივას მხარი დაუჭირეს საქართველოს ოლიმპიურმა კომიტეტმა და მთამსვლელებმა. როგორც გაცხადდა, ყველას სურვილი იყო ქვეყანაში ჟიული შარტავას სახელობის მწვერვალი გვექონოდა.

შესაბამისად, შარშან, 27 ივნისს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრმა **მანანა ქვაჩახიამ** და საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის პრე-ზიდენტმა **შოთა მირიანაშვილმა** ხელი მოაწერეს მემორანდუმს, რომელიც აღმოსავლეთ კავკასიონის ერთ-ერთი მწვერვალისათვის ჟიული შარტავას სახელის მინიჭებას ითვალისწინებდა.

შემდგომ, ამ ფაქტს პირველი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი გამოეხმაურა. მალე, 21 სექტემბერს სტუ სათავეში ჩაუდგა ეროვნულ ალბინიადას, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თანამშრომლები და სტუდენტები, საქართველოს მთამსვლელთა ფედერაცია და თავდაცვის სამინისტროს პოლკოვნიკ ბესიკ ქუთათელაძის სახელობის საჩხერის სამთო მომზადების სკოლა - პარტნიორობის მომზადებისა და განათლების ცენტრი.

ექსპედიციამ 4 დღე გასტანა და მისი მარშრუტი საკმაოდ რთული აღმოჩნდა. საბოლოოდ, ექსპედიციის წევრებმა ხდის

სეობაში აღმოსავლეთ კავკასიონზე, ყვიბიშის მყინვართან მდებარე ერთ-ერთი უსახელო მწვერვალი დალაშქრეს. მწვერვალის სიმაღლე ზღვის დონიდან დაახლოებით 3800 მეტრს აღწევს და მას საქართველოს პირველი ეროვნული გმირის ჟიული შარტავას სახელი უწოდეს. ექსპედიციაში მონაწილე საქარ-თველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდს ამავე უნივერსიტეტის სპორტის დეპარტამენტის უფროსი გიორგი კულდონაშვილი ხელმძღვანელობდა. მისი თქმით, ექსპედიციაში მონაწილე თითოეულმა ადამიანმა, სტუდენტმა თუ თანამშრომელმა ძალიან ღირსეული საქმე გასწიეს, მათ მწვერვალი პირველებმა მამაცურად დაიპყრეს და მასზე საკუთარი კვალი დატოვეს.

ამ მოვლენასთან დაკავშირებით



აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა **ვახტანგ ყოლბაიამ** განაცხადა: „მიმაჩნია, რომ ჩვენს საზოგადოებაში, ახლგაზრდებში გმირული სულისკვეთების გასაძლიერებლად ამ ფაქტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. გარდა ამისა,

მას დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური დატვირთვაც გააჩნია, ვინაიდან, ჟიული შარტავას სახელის უკვდავყოფა სამუდამოდ დაკავშირებულია აფხაზეთის ტრაგედიასთან. ჟიული შარტავას სახელით მონათლული მწვერვალი კი ამ ტრაგედიის გამოძახილად და ჩვენი ქვეყნის გაერთიანების სიმბოლოდაც კი შეიძლება იქცეს. მინდა მჯეროდეს, რომ ეს მწვერვალი ქართველებსა და აფხაზებს შორის ჩატეხილი ხიდის აღდგენისა და შერიგების სიმბოლო გახდება.“

ამ მოვლენას ასევე სიმბოლური უწოდა აფხაზეთის ავტონომიური რეს-პუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრმა **მანანა ქვაჩახიამ** და აღნიშნა: „ჩემთვის განსაკუთრებული პატივი იყო კავკასიონის ერთ-ერთი მწვერვალისათვის ჟიული შარტავას სახელის მინიჭებასთან დაკავშირებული მემორანდუმის ხელმოწერა. ამ პროცესს თან ახლდა წარმოსახვა დიდებული მწვერვალისა, რომელსაც ჟიული შარტავას სახელი დაერქმეოდა. მწვერვალი მართლაც განსაკუთრებული სილამაზითა და სიდიადით გამოირჩევა და დარწმუნებული ვარ, რომ მის დალაშქვრას მრავალი მთამსვლელი თუ ტურისტის მოსურვებს. იმედი მაქვს, მათ შორის აფხაზებიც იქნებიან და ეს, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ქართველი და აფხაზი ახალგაზრდების დაახლოებაში. სწორედ ამაზე ოცნებობდა ჟიული შარტავაც.“

აღსანიშნავია, მწვერვალის სამომავლო პოტენციალიც, ის ალპინიზმისა და სამთო ტურიზმის ნაწილი გახდება. ეს შესაძლებლობა კი ყველა სიკეთესთან ერთად უამრავ ადამიანს გააცნობს ჟიული შრტავას, როგორც საქართველოს პირველ ეროვნულ გმირს და შესაბამისად, აფხაზეთის პრობლემას, რასაც ის შეეწირა.“

შალვა ბერიანიძე

ჯაცი, რომელიც ლეგენდად იქცა

1993 წლის ივლისში, როცა ჟიული შარტავა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა, მთხოვა ვყოფილიყავი მისი მრჩეველი. ჟიული შარტავასთან მანამდეც ახლო ურთიერთობა მაკავშირებდა, რადგან საქართველოს პარლამენტიდან დაფუძნდებოდა ერთმანეთს. ჟიული შარტავას პრინციპული ხასიათი, პიროვნული თვისებები, კრეატიულობა, სახელმწიფოებრივი აზროვნება, ერუდიცია, ლიდერის უბადლო ნიჭი მის მიმართ აშკარა სიმპათიით განმანყობდა და თანამშრომლობა ბატონ ჟიულისთან, მთელი ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს საკითხთან დაკავშირებით, ჩემთვის მხოლოდ პატივი იყო.

ჟიული შარტავა მიზნად ისახავდა დაპირისპირების სიმწვავის შენელებას, საომარი მოქმედებების შეწყვეტას სოხუმსა და მთელ აფხაზეთში და ზრუნვას მშვიდობიანი ცხოვრების დასაწყებად. იგი შეეცადა რადიკალურად შეეცვალა ურთიერთობა ჩრდილოელი მეზობლის ზეგავლენით ამოზნებულ აფხაზებთან, სეპარატისტთა მესვეურებთან. სწორედ ამით იყო განპირობებული, რომ ოფიციალურ თუ არაოფიციალურ მსხვედრებზე, ჟურნალისტებთან ინტერვიუებში, ჟარისკაცებთან, მოსახლეობასთან და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან მხოლოდ შერიგების, ურთიერთმიტევების აუცილებლობაზე ლაპარაკობდა.

ზემოთქმული, ცხადია, იმაზე მეტყველებს, რომ სახელმწიფოებრივი მიდგომის გარდა, ის გამორჩეული იყო ადამიანური ჰუმანურობით საომარი ვითარების ჟამსაც კი. ალბათ, ესეც ერთ-ერთი მიზეზი იყო, რამაც გადაწყვეტინა მას, 1993 წლის 27 ივლისს, სახელმწიფო მეთაურთან ერთად ხელი მოეწერა სოჭის ხელშეკრულებისათვის. 1993 წლის ავადსახსენებელ 27 სექტემბერს, როცა მტრის ჭურვებისგან მინისტრთა საბჭოს რამდენიმე სართულს უკვე ცეცხლი ეკიდა, ის მაინც მტკიცედ და შეუვალად იდგა თავისი კაბინეტის ფანჯარასთან და თვალს ადევნებდა ცეცხლმოკიდებული ქალაქის სანაპირო ქუჩიდან მიმავალი ქალებისა თუ ბავშვების ნაკადს, რათა მხოლოდ ამის შემდეგ ეფიქრა საკუთარი თავისა და გარემოცვის გადარჩენაზე, ამასთან სწამდა, რომ აფხაზებთან მოლაპარაკებას გამართავდა და სამხედრო ტყვეების, მთავრობის თავმჯდომარის, მთავრობის წევრების, სხვა თანმხლები პირების ხელშეუხებლობას მიაღწევდა.

კარგად მახსოვს, 16 სექტემბრის წინა დღეებში, სამშვიდობო შეთანხმების დარღვევამდე 2-3 დღით ადრე, ბატონი ჟიული გუდაუთაში გაემგზავრა სეპარატისტთა ლიდერებთან შესახვედრად. წასვლის წინ ეიმედებოდა, ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება ამჯერად არ დაირღვეოდა. სამწუხაროდ, ეს ის შემთხვევა იყო, როცა საბედისწეროდ შეცდა... როგორც ჩანს, იქ მოლაპარაკება საქართველოს სახელმწიფო ინტერესებისათვის მისაღებ ჩარჩოებს გასცდა... იგი ძალიან სწრაფად, ერთი საათის შუალედში, მისთვის უჩვეულოდ განრისხებული დაბრუნდა. სიმშვიდე, წონასწორობადაკარგული, როგორც რიგითი ჯარისკაცი, ხმამაღლა მამაკაცურად ილანძლებოდა. ადრეც მითქვამს და ახლაც გავიმეორებ, რომ იმ დღიდან გახდა ჟიული შარტავა საქართველოსთვის მებრძოლი ჯარისკაცების სამხედრო მეთაური და მათთან ერთად ჩაება კიდევ 16 სექტემბერს მშვიდობიანი, განიარაღებული ქალაქის დასაცავად განახლებულ უთანასწორო ბრძოლაში.

უფრო ადრე, ვიდრე აფხაზეთში საომარი მოქმედებები დაიწყებოდა, მან მისთვის დამახასიათებელი კატეგორიულობით აღნიშნა: „ქვეყნისა და ერის მომავალზე პასუხისმგებლიან ხელისუფალს შედეგის მისაღწევად თავგანწირვისათვის მზადყოფნა უნდა ახასიათებდეს!“ და ეს ისეთი ხაზგასმით იყო ნათქვამი, რომ დიკუსიის ყველა მონაწილეს ერთნაირად დაგვამახსოვრდა.

ნიშანდობლივია, რომ ბატონი ჟიული შარტავა სწორედ ასეთი პასუხისმგებლობისა და თავგანწირვის მატარებელი ხელისუფალი აღმოჩნდა თავისი ერისა და ქვეყნის წინაშე.

ელგუჯა (გია) გვაზავა

ჟიული შარტავაზე უბრალოდ

ხშირად ამბობენ, რომ ჟიული შარტავას გმირული საქციელი ძალიან წააგავს ცოტნე დადიანისას. ცოტნე არავის დაუპატიმრებია, სხვაგან იყო წასული და დაპატიმრებას გადაურჩა. ცოტნესაც შეეძლო გარიდებოდა იქაურობას და ძველებურად გაეგრძელებინა ურთიერთობა მონღოლებთან, მაგრამ მან ხომ იცოდა, რომ თვითონაც მონაწილეობდა შეთქმულებაში, ამიტომაც გადანყვიტა, თანამოაზრეების ბედი გაეზიარებინა... მონღოლებისთვის ამგვარი ქმედება იმდენად წარმოუდგენელი იყო, რომ ყველანი გაათავისუფლეს...

ახლა, ამას რომ ვამბობ, იუნკერთა გმირობა მახსენდება... გმირობის სხვა ბევრი მაგალითიც.

ისინი ყველანი საქართველოს თავისუფლებას შეეწირნენ, ჟიული შარტავამაც ამისთვის დადო თავი. საერთოდაც, ეს თითქოს ერთი დიდი ბრძოლაა, რომელიც ჯერაც არ დასრულებულა. ამიტომაც ჟიული შარტავას იუბილის აღნიშვნას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდა თაობისთვის. მათ წარსულისადმი პატივისცემა უნდა გაუშმაფროთ, უნდა ვასწავლოთ, რომ გმირული ქმედება ჩვენი ერთ-ერთი ეროვნული ღირებულებაა, რაზეც დღემდე დგას საქართველო...

მარიამ ლორთქიფანიძე

...

სოხუმის დაცემის დღეს ჟ. შარტავას კაბინეტში აპარატის ოპერატიული თათბირი ჩატარდა. მისი კაბინეტიდან სულ ბოლოს მე და აფხაზეთის მრეწველობის მინისტრი რაულ ეშბა გამოვედით. ამ დროს გაისმა ეკლესიის ზარების რეკვა. ჟიულმ შეგვაჩერა, მოძებნა სამი სანთელი, თითო-თითო ჩვენ მოგვცა და თქვა: „მოდით, ვილოცოთ მომავალ დღეზე“... და ჩვენ სამმა, ერთმა ქართველმა და ორმა აფხაზმა, ქრისტიანულად გადავიწერეთ პირჯვარი და ღმერთს დახმარება და კურთხევა შევთხოვეთ, მაგრამ, საუბედუროდ, აღმოჩნდა, რომ ღმერთსაც დიდი პიროვნებები სჭირდება.

ადამიანებს, რომლებიც მხეცურად გაუსწორდნენ ჟიული შარტავას, ვერაფერს ვუნოდებთ, თუ არა მე-20 საუკუნის მიწურულის ბარბაროსებს. ჟიული შარტავას სახით მათ მოკლეს არა მარტო ნათელი პიროვნება, გამოჩენილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, არამედ კაცი, რომელიც განასახიერებდა მაღალ მორალურ და ზნეობრივ თვისებებს, თანმიმდევრულად იბრძოდა აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი, პოლიტიკური მოწესრიგებისათვის, ჩვენს ხალხებს შორის ურთიერთგაგებისა და ერთიანობის აღდგენისათვის, ქართული სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისა და აყვავებისათვის.

გმირები არ იხოცებიან, ისინი მრავალი თაობის ხსოვნასა და შეგნებაში ცოცხლობენ.

ლორიკ მარშანია

ისტორიად ქიული წადრი

„ზოლომდე ვიბრძოლვით,
ვიდრე შეგვიძლია და თუ
სიკვდილი გვინერია, არც ეს
უნდა იყოს დიდი ტრაგედია.
ისეთი ზიჯები იხორცნიან,
ძნელია ამის შემყურემ
სიწოწილეზე იფიქრო.
რას იზამ, ზეფისწერას
კერ გაქმევი“.

ქიული შარტავა



ქიული შარტავა, ავთანდილ დეკანოიძე - დაცვის უფროსი, დავით მიქავა - პირადი დაცვის წევრი, კობა მირზაშვილი - დაცვის წევრი

ქიული შარტავას სახელობის სტიპენდიანტები

ქიული შარტავას სტიპენდია მხოლოდ ძღვენი როდია

2018 წლის ერთ ჩვეულებრივ
დღეს ტელეფონზე დამირეკეს და
მითხრეს, რომ მე მოვიპოვე ქიული
შარტავას სახელობის სტიპენდია. მერე,
ბუნებრივია, იყო სიხარული და ბედნიერი
წუთები. თავიდანვე გავაცნობიერე, რომ
ჯილდოსთან ერთად ეს არის უდიდესი
პასუხისმგებლობა. ამ განცდას თან
ახლდა თავისი წილი ტკივილიც. ტკივილი,
რომელიც დაკავშირებულია მინასთან,
რომელთან სიახლოვეც, თუნდაც
მაშინ, როცა ზღვის პირას ვდგავარ და
ხედს გავცქერი, მაძლევს მუხტს, რომ
ყველაფერი კარგად იქნება.

უკვე ვთქვი, რომ ქიული შარტავას
სახელობის სტიპენდია ეს არ არის
მხოლოდ ძღვენი, ეს პასუხისმგებლობაა
და ეს მესხიერებაა, რომელსაც ექნება
თავისი ამონაგები. პასუხისმგებლობაა,
რადგან ამ სახელთან ასოცირდება
- ბრძოლა, გამირობა, თავდადება,
თავგანწირვა - ყველაფერი ის, რისი
ჩადენაც სამშობლოსა და ხალხისათვის
მხოლოდ ერთეულებს ძალუძთ პირადი
ინტერესების საზღვრებს მიღმა
გადაბიჯებით.

ისტორია და წყაროები, რომლებიც
ჩვენს უახლეს წარსულს, აფხაზეთს
უკავშირდება, განსაკუთრებულ ინტერესს
აღმიძრავდა სკოლაშიც. ქიული შარტავა
სწორედ ამ სივრცეში გავიცანი. მაშინაც
და დღესაც უნახავად მიყვარდა და
მიყვარს, მტკიოდა და მანაღვლებს
ისტორია, რომლის ნაწილიც ვარ.

ქიული შარტავას წილად ერგო,
აფხაზეთში წასულიყო და მნიშვნელოვანი
მისია შეესრულებინა. მიუხედავად იმისა,
რომ მას გააჩნდა უდიდესი ინტერესი
- შეეჩერებინა ძმათამკვლელი ომი და
აფხაზეთში მშვიდობა დაემყარებინა,
ისტორია სულ სხვა მიმართულებით
წავიდა. თუმცა ცხადია, ის, რაც მოხდა,

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ აფხაზეთის ა/რ
განათლებისა და კულტურის სამინისტროსთან ერთად 2016 წელს ქიული შარტავას
სახელობის სტიპენდია დააწესა. სტიპენდია მიზნად ისახავს აფხაზეთის პრობლემატიკის
პოპულარიზაციას და გამიზნულია პოლიტიკის მეცნიერების დარგის ბაკალავრიატისა
და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის, რომლებიც განსაკუთრებული წარმატე-
ბით გამოირჩევიან და თან აფხაზეთის თემატიკაზე მუშაობენ. სტიპენდიის ოდენობა
მაგისტრატურის სტუდენტებისათვის შეადგენს თვეში 150 ლარს, ხოლო ბაკალავრიატის
სტუდენტებისათვის თვეში - 100/150 ლარს.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის
შემსრულებლის ვახტანგ ყოლბაიას თქმით: „ქართველი ახალგაზრდები კარგად უნდა
იცნობდნენ აფხაზეთის პრობლემატიკას, ქვეყნის ერთ-ერთ უმთავრეს სატკივარს,
რომელიც გლობალური პოლიტიკის ნაწილიცაა. გარდა ამისა, საკუთარი ხედვა უნდა
გააჩნდეთ აფხაზეთის პრობლემის მოგვარების გზებზე.“

ქიული შარტავა ის მამულოშვილი იყო, რომელიც საქართველოს მთლიანობისთვის,
ქართველებისა და აფხაზების მშვიდობიანი თანაცხოვრებისთვის იბრძოდა. ეს იგივე
სამართლიანობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის გამოხატულებაა, რაც ზოგადას-
კაცობრიო იდეალებს ეხმარება. ამდენად, არ გამოვირიცხავ, რომ მომავალში ამ
სტიპენდიის მოპოვების მსურველთა შორის აფხაზი ახალგაზრდებიც ვიხილოთ“.

კომისიის გადაწყვეტილებით, 2018-2019 სასწავლო წლისათვის, ქიული შარტავას
სახელობის სტიპენდია მიენიჭათ: გიორგი დუნდუას-თბილისის ივანე ჯავახიშვილის
სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნი-
ერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამის „განათლების მეცნიერებები“ სტუ-
დენტს და დავით ესათიას - კავკასიის უნივერსიტეტის ეკონომიკის სკოლის საბაკა-
ლავრო პროგრამის სტუდენტს. გთავაზობთ მათ მოსაზრებას ყოველივე ამასთან
დაკავშირებით.

დარჩა გაკვეთილად, რომელზეც ჩვენ,
მომავალმა ადამიანებმა უნდა ვიფიქროთ
და ვისწავლოთ.

მჯერა, გამართლდება ჩემი მტკიცე
რწმენა, რომ საქართველო გალამაზდება
თავისი ძირძველი ტერიტორიებით,
სულიერი ერთობით, რომელიც ადამიანებს
უბიძგებს, იგრძნონ გაერთიანების
ბრწყინვალე განცდა. ჩემს ერთ ნაშრომში
მიმოხილულია მომავალი თაობის ფიქრები
და განცდები, რომლებიც კარგი ნიადაგია
გავიაროთ ეპოქის უმნიშვნელოვანესი
ფრაგმენტები და ჩვენი წილი ჩავდეთ
მომავლის შენებაში. მჯერა, რომ მომავალ
თაობებს, რომლებიც გააგრძელებენ ისეთი
ღირსეული ადამიანების სულისკვეთებას,
როგორიც ქიული შარტავა იყო, შეუძლიათ
წარმოუდგენელი წარმატებით შეცვალონ
ისტორიის მტკივნეული სურათი.

მე მზად ვარ ამ გამოწვევისთვის!

გიორგი დუნდუა

მასში ნდობის ფაქტორი სხვებზე ბევრად მეტი იყო...

საქართველოს ეროვნული გმირი
ქიული შარტავა 75 წლის გახდებოდა.
ჩვენი ქვეყნის ისტორიაში მის მიერ
შესრულებულ მნიშვნელოვან როლზე
საუბრისას, სწორად სვამენ კითხვას,
თუ რატომ დარჩა ის იქ, იმ პერიოდში,
როდესაც სხვები წამოვიდნენ. ჩემი აზრით,
ალბათ არ სჯეროდა, რომ ასე სასტიკად
გაიმეტებდნენ, არ შეიბრალებდნენ ის
ადამიანები, რომლებთან ერთადაც
მანამდე ვცხოვრობდით; და კიდევ, ალბათ
ნდობის ფაქტორი მეტი იყო მასში, ვიდრე
სხვებში... როგორც ზიგმუნდ ფროიდმა
თქვა: ნებისმიერ ადამიანს, ვისაც ჩუქნით
ნდობას, აძლევთ დანას. და მას შეუძლია
ამით ან დაგიცვათ ან გაგანადგუროთ“. ის
გაანადგურეს!

ქიული შარტავა, როგორც ბევრი

უდანაშაულო ადამიანი, შეენირა სასტიკ
ომს. ომს, რომელიც პოლიტიკოსებმა
დაიწყეს და მერე სხვები ჩაითრია.
მასხნდება გურამ დოჩანაშვილის
სიტყვები: „მნიშვნელობა არ აქვს,
ადრე მოკვდები თუ შედარებით გვიან,
რადგანაც ბოლო მაინც ეგ არის.
მთავარია, თუ როგორ მოკვდები
და რის ჩადენას მოასწრებ“. ქიული
შარტავას კარგ საქმეებზე დღესაც
ბევრი ლაპარაკობს თვალცრემლიანი. ის
გარდაიცვალა გმირად. მას გადაგებული
ჰქონდა თავისი თავი, ფიქრობდა სხვებზე,
ამაზე მეტი სიკეთე რა უნდა იყოს, ამაზე
უფრო მისაბადი.

ჩემთვის, როგორც საქართველოს
ეროვნული გმირის, ქიული შარტავას
სახელობის სტიპენდიანტისთვის თა-
ვისთავად მნიშვნელოვანია ეს თა-
რილი. ვფიქრობ, უნდა ჩატარდეს არა-
ერთი ღონისძიება, რომელიც მეტ
ინფორმაციას მიაწვდის ახალგაზრდებს.
მისასალმებელია ის ფაქტიც, რომ
დანესდა სტიპენდია, რომელიც ენიჭება
აფხაზეთის თემატიკაზე მომუშავე
განსაკუთრებული მიღწევებითა და
წარმატებით წარმოჩენილ სტუდენტებს
- ეს არის სტიმულის მიძევი, რათა მეტი
გააკეთო, იშრომო და შედეგად მიიღო
ჯილდო.

მომავალი ახალგაზრდების ხელშია,
საჭიროა ახალი ხედვები, ახალი იდეები,
ახალი ინვესტიციები, რათა უკეთესობისკენ
შეიცვალოს მდგომარეობა. ჩვენთვის,
უპირველესი უნდა იყოს მშვიდობა და
მისი მშენებლობა. მეტი განათლება
ხელს უწყობს ამ პროცესს და ამცირებს
შეცდომების ალბათობას. დაფიქრდეთ,
მშვიდობა პროცესია, თუ შედეგი?

საბოლოოდ კი მშვიდობის მშენე-
ბლობისთვის მსურს ვუთხრა თითოეულ
ახალგაზრდას: მოიკრიბეთ სიმამაცე, რომ
რამე შეცვალოთ; მოიკრიბეთ მოთმინება,
თუ ვერაფერს ცვლით; და იყავით
იმდენად გონიერი, რათა იცოდეთ, როდის
სჯობს სიმამაცის გამოჩენა და როდის
მოთმინების!

დავით ესათია